სსიპ განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორი

05/07/2024

MES 5 24 0000820626

**ბრძანება**

**„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 01 ნოემბრის №1167326 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 04 ივლისის №803548 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ" ცენტრის დირექტორის 2021 წლის 01 ნოემბრის №1167326 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის":

**ა) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ე) კანდიდატთა შეფასება (ტესტირების ან/და გასაუბრების გზით, რაც განისაზღვრება კონკურსის გამოცხადების შესახებ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით);“ ;

**ბ) მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„გ) კომპიუტერული პროგრამების (MICROSOFT WORD; EXCEL; POWER POINT) ცოდნა, რაც დასტურდება კანდიდატის რეზიუმეთი;“;

**გ) მე-9 მუხლის „დ" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
„გ) კომპიუტერული პროგრამების (MICROSOFT WORD; EXCEL; POWER POINT) ცოდნა, რაც დასტურდება კანდიდატის რეზიუმეთი;";

**დ) მე-15 მუხლის მე-10 პუნქტი ამოღებულ იქნეს;**

**ე) მე-17 მუხლის:**
**ე.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
„ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში ეფექტიანად წარმართვისა და შეფასების ერთიანი მიდგომის დაცვის მიზნით, ცენტრი უფლებამოსილია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტზე მიავლინოს ცენტრის თანამშრომელი. სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასების შემთხვევაში, ცენტრის მიმართვის საფუძველზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტს, ცენტრის თანამშრომლის ნაცვლად შესაძლებელია დაესწროს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) თანამშრომელი. ინფორმაცია ვიზიტზე მივლინებული პირის შესახებ აისახება ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში.";
**ე.ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $2^1$ პუნქტი:**
„$2^1$. სამინისტროს თანამშრომელი:
ა) უზრუნველყოფს ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის ეფექტიანად წარმართვასა და შეფასების ერთიანი მიდგომის დაცვას ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებაში ვიზიტის დროს;
ბ) დაწესებულების შეფასების პროცესში პროცედურული დარღვევის შემთხვევაში აცნობებს ცენტრს;
გ) საჭიროების შემთხვევაში, ტექნიკურ დახმარებას უწევს ექსპერტთა ჯგუფს;
დ) აკონტროლებს ვიზიტის პროცესის დადგენილი დღის წესრიგის შესაბამისად წარმართვას;
ე) ექსპერტებთან ერთად ესწრება სასწავლო გარემოს და ინფრასტრუქტურის შემოწმების პროცესს (ვიზუალური დათვალიერება);
ვ) ესწრება ექსპერტთა მიერ დაწესებულების წარმომადგენლების ინტერვიურების პროცესს (ონლაინ/პირისპირ).";
**ე.გ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
„ცენტრის თანამშრომელი/სამინისტროს თანამშრომელი არ მონაწილეობს შეფასებისა და დასკვნის შედგენის პროცესში.";

**ვ) 23-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
„საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების/დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის საკითხთან დაკავშირებულ რეკომენდაციას წარუდგენს ცენტრის დირექტორს, შესაბამისი გარემოების გამოვლენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.".

2. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო სამსახურს ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების უზრუნველყოფა.
3. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
კახაბერ ერაძე